GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

I ნაწილი

საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი

II ნაწილი

კვლევის მაგისტრი საერთაშორისო ურთიერთობებში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი

I ნაწილი - 60 კრედიტი

II ნაწილი - 60 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

პროგრამის მიზნები:

სამაგისტრო პროგრამის I ნაწილის მიზანია სტუდენტს შესძინოს და გამოუმუშაოს:

1. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიისა და პრაქტიკის ღრმა და სისტემური ცოდნა;
2. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო სამართლის, ასევე სახელმწიფო მოწყობისა და მოდელის როლის შესახებ ცოდნა;
3. უსაფრთხოების პოლიტიკაში შეიარაღებული ძალებისა და სპეცსამსახურების როლისა და ადგილის გააზრების უნარი;
4. საერთაშორისო ურთიერთობებში დიპლომატიის როლის სიღრმისეული გააზრების უნარი;

სამაგისტრო პროგრამის II ნაწილის მიზანია სტუდენტს შესძინოს და გამოუმუშაოს:

5. საერთაშორისო ურთიერთობების მიმდინარე საკითხების კომპეტენტური ანალიზის უნარი, ანალიტიკური დოკუმენტების, აკადემიური სტანდარტების დაცვით კვლევის განხორციელებისა და შესაბამისი შედეგების გაცნობის/პრეზენტირების უნარი;
6. ახალ, მულტიდისციპლინურ გარემოსთან ადაპტირების, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის უნარი.

სწავლის შედეგები:

პროგრამის I ნაწილის სწავლის შედეგები:

1. სისტემურად და სიღრმისეულად აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და პრაქტიკის ძირითად მახასიათებლებს, მათ შორის საერთაშორისო უსაფრთხოების, ეკონომიკისა და სამართლის საერთაშორისო ასპექტებს.
2. სიღრმისეულად განსაზღვრავს ანგლო-საქსური, კონტინენტურ ევროპული, ახლო და შორეული აღმოსავლეთის პოლიტიკურ სისტემებისა და უსაფრთხოების ძირითად მახასიათებლებს და თანამედროვე გამოწვევებს;
3. უცნობ და მულტიდისციპლინარულ გარემოში საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში წამოჭრილ პრობლემასთან დაკავშირებით შეიმუშავებს პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალურ გზებსა და მიდგომებს;
4. დამოუკიდებლად განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ცოდნის მუდმივი გაღრმავების საჭიროებებს და პასუხისმგებლობას იღებს საკუთარი და გუნდის წევრების პროფესიულ განვითარებაზე;

პროგრამის II ნაწილის სწავლის შედეგები:

5. ადეკვატური და სანდო წყაროების გამოყენებით მოიძიებს და კრიტიკულად აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების მიმდინარე მოვლენებს და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
6. მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენებით წარუდგენს კვლევის შედეგებს, საკუთარ დასკვნებსა და არგუმენტებს.
7. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით წვლილი შეაქვს საერთაშორისო ურთიერთობების დარგში ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის I ნაწილზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, ვისაც მიღებული აქვს აკადემიური ხარისხის ნებისმიერ სფეროში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა საერთაშორისო ურთერთობების მიმართულებით.

შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:

1. **ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი აღნიშნულ სფეროში;**
2. **საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება;**
3. **ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა:** მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით (TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE). ინგლისური ენის გამოცდისგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენის ვალდებულებისგან თავისუფლდება მაგისტრანტობის კანდიდატი, თუ მას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, სამაგისტრო ან საბაკალავრო პროგრამა დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.
4. **გასაუბრება მისაღებ კომისიასთან,** რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა საჯარო მმართველობის დარგში და განისაზღვროს აპლიკანტის უნარ-ჩვევების შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამასთან.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის II ნაწილზე დაშვების წინაპირობაა საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის I ნაწილის დასრულება „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების მე-4მუხლის, 1[1] პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

დარგობრივი საკითხების ჩამონათვალი, ინგლისური ენის ტესტის ნიმუშთან ერთად განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია - „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224 / ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის.

შედეგებისა და მიზნების რუკა:

	შედეგი 1	შედეგი 2	შედეგი 3	შედეგი 4	შედეგი 5	შედეგი 6	შედეგი 7
პირველი წლის სწავლის შედეგების/მიზნების რუკა							
მიზანი 1	■	■			■		■
მიზანი 2	■	■			■		■
მიზანი 3	■	■			■		■
მიზანი 4	■				■		■
მეორე წლის სწავლის შედეგების/მიზნების რუკა							
მიზანი 5			■	■	■	■	■
მიზანი 6			■	■		■	■
მიზანი 6	■	■		■	■		

სწავლება-სწავლის მეთოდები:

- ლექცია
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- პრაქტიკული მუშაობა
- სემინარი
- ელექტრონული რესურსით სწავლა
- სხვა

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლება-სწავლის მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

ამასთან, სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

დასაქმების სფერო:

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურებში ასევე, კერძო სექტორშიც. პროგრამა იძლევა ღრმა თეორიულ და პრაქტიკაზე დამყარებულ ცოდნას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას იმუშაონ პრაქტიკული მიმართულებით და ასევე, მკვლევარებად. (მეორე ნაწილის დასრულების შემთხვევაში).

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის პირველ ნაწილის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს ამავე კვალიფიკაციის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილზე, ხოლო მეორე ნაწილის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე. კურსდამთავრებულს, ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის მაგისტრატურის აკადემიური ხარისხით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში, რომელსაც სტუდენტი ეცნობა სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში, რომელსაც სტუდენტი ეცნობა კურსის დაწყებისთანავე.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(Fx) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F – 0 ქულა .

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(Fx) ვერ ჩაბარა – 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულის და ნაკლების მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

- A = 4
- B = 3, 2
- C = 2, 4
- D = 1, 6
- E = 0, 8

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგან-მანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში. პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის

შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა - სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომლები). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდე-ბი, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერ-ნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოი- ყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვე- ობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვა. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი:

თორნიკე შარაშენიძე

პროფესორი

რუსთავის გზატკეცილი 22ა.

თბილისი, 0114, საქართველო

მობ: (995 599) 199983

e-Mail: t.sharashenidze@gipa.ge

№	საგნისკოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]				სტუდენტისსასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები				**30**	**30**	**20**	**30**		
1	MAIR002	არ გააჩნია	დიპლომატიის ისტორია I	6/150				36	114
2	MAIR005	არ გააჩნია	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	6/150				36	114
3	MAIR003	არ გააჩნია	ომი და სტრატეგია	6/150				36	114
4	MAIR006	არ გააჩნია	ტერორიზმი და უსაფრთხოება	6/150				36	114
5	MAIR008	არ გააჩნია	ეკონომიკა	6/150				36	114
6	MAIR004	არ გააჩნია	საერთაშორისო სამართალი		6/150			36	114
7	MAIR001	არ გააჩნია	შედარებითი პოლიტიკა		6/150			36	114
8	MAIR007	MAIR002	დიპლომატიის ისტორია II		6/150			36	114
9	MAIR010	MAIR007	თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკა		6/150			36	114
10	MAIR009	არ გააჩნია	დაზვერვა და კონტრდაზვერვა		6/150			36	114
11	MAIRResearch 1	I ნაწილის დასრულება	აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი			10/250		40	210
12	MAIRResearch 2	I ნაწილის დასრულება	რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები			10/250		40	210
13	MAIRResearch 3	III სემესტრით გათვალისწინებული 30 კრედიტის დაგროვება	სამაგისტრო ნაშრომი				30/750		
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები						**10**			
14	MAIR013	I ნაწილის დასრულება	საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოების ხელოვნება			5/125		36	89
15	MAIR014	I ნაწილის დასრულება	საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა			5/125		36	89
16	MAIR015	I ნაწილის დასრულება	თავდაცვის ეკონომიკა			5/125		36	89
17	MAIR016	I ნაწილის დასრულება	საერთაშორისო ენერგეტიკული უსაფრთხოება და გეოპოლიტიკა			5/125		36	89
18	MAIR017	I ნაწილის დასრულება	საერთაშორისო ეკონომიკა			5/125		36	89
19	MAIR900	I ნაწილის დასრულება	ციფრული მმართველობა და კიბერდიპლომატია			5/125		36	89

20	MAIR011	I ნაწილის დასრულება	საერთაშორისო დიპლომატიური და საკონსულო სამართალი			5/125		36	89
21	MAIR685	I ნაწილის დასრულება	საგარეო პოლიტიკის მართვა: ეროვნული უსაფრთხოება და ნატო-ში გაწევრიანება			5/125		36	89

1 დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.
2 საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.
3 საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).
4 საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის ან სხვა კომპონენტის სახით.

სწავლის შედეგების რუკა:

პროგრამის თითოეული შედეგისთვის განისაზღვრა სამდონიანი ცოდნის იერარქია: I, D, M, და P კომპონენტი, საიდანაც I აღნიშნავს მოცემული საგნის გასვლას გაცნობით დონეზე (Introduction), D აღნიშნავს გაღრმავებას (Developement), M აღნიშნავს განმტკიცებას (Master), ხოლო P აღნიშნავს პრაქტიკას (Practice). შესაძლებელია, რომ საგანი გადიოდეს გაცნობისა და პრაქტიკის (IP), გაღრმავებისა და პრაქტიკის (DP) ან განმტკიცებისა და პრაქტიკის (MP) დონეზე.

სასწავლო კურსი	**პროგრამის სწავლის შედეგები**						
	1	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**
I ნაწილი							
დიპლომატიის ისტორია I	IP				IP	I	I
საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	D		I	I		I	I
ომი და სტრატეგია	IP	IP	I			I	I
ტერორიზმი და უსაფრთხოება	DP	D	I			I	I
ეკონომიკა	IP					I	I
საერთაშორისო სამართალი	I			IP		I	I
შედარებითი პოლიტიკა	IP	I				I	I
დიპლომატიის ისტორია II	IP						
თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკა	MP	D	D	D		IP	DP
დაზვერვა და კონტრდაზვერვა	MP		D	I	DP	I	I
II ნაწილი							
აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი			DP		DP	DP	DP
რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები			DP		DP	DP	DP
სამაგისტრო ნაშრომი	MP	MP	MP	MP	MP	MP	MP

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე

სახელი, გვარი	თორნიკე შარაშენიძე			
თანამდებობა	სამართლისა და პოლიტიკის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი			
სამუშაო ადგილი	ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	+(995) 599 199983	ელ- ფოსტა:	t.sharashenidze@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	დისერტაციის სათაური: იდეოლოგიებისა და გეოპოლიტიკური კონცეფციების შესაძლო გავლენა რუსეთის ქცევაზე საერთაშორისო პოლიტიკაში (2010) კვლევების სფეროები: დიპლომატიის ისტორია, რეგიონული უსაფრთხოება, რუსეთის საგარეო პოლიტიკა			
პუბლიკაციები	- დიპლომატიის ისტორია - 1930-1939 წლები (წიგნი, 2021); - დიპლომატიის ისტორია, 1890-1920 (წიგნი. 2015); - დიპლომატიის ისტორია, მე-19 საუკუნე (წიგნი. 2013); - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალის GIPA Journal of Politics and Democratization რედაქტორი; - NATO AS Viewed from Tbilisi and Moscow (Georgian Foundation for Strategic and International Studies, Friedrich Ebert Stiftung. 2017); - Ukraine Crisis' Impact on South Caucasus (Ukraine Analytica. 2015); - ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისიის აღმასრულებელი მდივანი (2010-2011) - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (2009-2011)			

დანართი №2

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

N	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1.	ბაკურ კვაშილავა	პროფესორი	• შედარებითი პოლიტიკა • საერთაშორისო ურთიერთობების თეორია • რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები • სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი
2.	თორნიკე შარაშენიძე	პროფესორი	• დაზვერვა და კონტრდაზვერვა • დიპლომატიის ისტორია I • დიპლომატიის ისტორია II • სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი
3.	თენგიზ ფხალაძე	პროფესორი	• საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოების ხელოვნება • სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი
4.	მერაბ კაკულია	პროფესორი	• საერთაშორისო ეკონომიკა • სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი • ეკონომიკა
5.	ნანა მაჭარაშვილი	პროფესორი	• აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი • სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი
6.	ნინო ხურციძე	მოწვეული ლექტორი	• საერთაშორისო სამართალი
7.	ზვიად ბარქაია	ასისტენტ პროფესორი	• საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა • ომი და სტრატეგია • თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკა

8.	ნიკოლოზ მელქაძე	მოწვეული ლექტორი	• საერთაშორისო დიპლომატიური და საკონსულო სამართალი
9.	გიორგი კობერიძე	ასისტენტ პროფესორი	• ტერორიზმი და უსაფრთხოება
10.	ტატო კვამლაძე	მოწვეული ლექტორი	• თავდაცვის ეკონომიკა
11.	მიხეილ დარჩიაშვილი	პროფესორი	• საგარეო პოლიტიკის მართვა: ეროვნული უსაფრთხოება და ნატო-ში გაწევრიანება • სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი
12.	ვლადიმერ სვანიძე	მოწვეული ლექტორი	• ციფრული მმართველობა და კიბერდიპლომატია
13.	ნანა ფირცხელანი	მოწვეული ლექტორი	• საერთაშორისო ენერგეტიკული უსაფრთხოება და გეოპოლიტიკა